**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**ხელშეკრულება № 29**

<u>წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით</u>

ქ. ბათუმი მაისი 2023 წ

ერთი მხრივ, **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ (ს/კ 245626684)** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნოდარ კონცელიძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „მახო 2012“ (ს/კ 445416461)** (შემდგომში მიმწოდებელი) დირექტორი მალხაზ ბერიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს1“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში - “ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,შესყიდვის ობიექტი/საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი.**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ნაწილების** შესყიდვა დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი;

2.2. **კლასიფიკატორის კოდი: 16810000.44317000,343523,09200000**

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2466 (ორი ათას ოთხას სამოცდაექვსი)** ლარს;

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად მოწოდებული შესყიდვის ობიექტების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების (რომელსაც მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დროს) აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 15 (სამუშაო) დღის განმავლობაში საგადასახადო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) საფუძველზე.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ერთჯერად, მოთხოვნის შესაბამისად;

5.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მოწოდებულ საქონელზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტზე ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან;

5.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები;

5.4. შემსყიდველს მხრიდან შესყიდვის ობიექტის/საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილ წარმომადგენელია - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის კონტროლის,

საწყობის და მომარაგების სპეციალისტის **ბეგლარ აბაშიძე**

5.5. შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის შესახებ;

**6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა**
6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი.
6.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების **გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში.**

**7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**
7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

**8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**
8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი -შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“სამეურნეო უზრუნველყოფისა და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი რუსლან ანთაძე.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

**9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**
9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების პირობების რომელიმე მხარის მიერ შეუსრულებლობისას ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას საჯარიმო სანქციები;
9.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომლის თაობაზე წერილობით აცნობებს მიმწოდებელს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე;
9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0,02 %–ის ოდენობით;
9.4. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა მიმწოდებლის მიერ გადახდილი უნდა იქნას აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, შემსყიდველის გადაწყვეტილებით პირგასამტეხლოს თანხის დაკავება შესაძლებელია განხორციელდეს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი ღირებულებიდან;
9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.7. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მე-4 მუხლის 4.2. პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ასანაზღაურებელი თანხის ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

**10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**
10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ცვლილებების გარდა;
10.2. წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდეგ;
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ;
10.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნათა გათვალისწინებით;
10.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. ფორს-მაჟორი (დაუძლეველი ძალა)**
11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**12. სადავო საკითხების გადაწყვეტა**
12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

**13. ხელშეკრულების ენა**
13.1. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე, რომელიც ხელმოწერილია/დამოწმებულია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ელექტრონული ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

**15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

| **„შემსყიდველი“** | **„მიმწოდებელი“** |
|---|---|
| **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“** | |
| მის: ქ. ბათუმი, გორგასალის ქ.124 | შპს მახო 2012 |
| ანგარიშის № GE98KS0000000340800017 | ქ. ბათუმი. ფრ.ხალვაშის გამზ.100 |
| ს/კოდი: 245626684 | ანგარიშის №: GE03TB773 353 602 010 0002 |
| მიმღების ბანკი: სს „ტერა ბანკი” | ს/კოდი: 445416461 |
| ბანკის კოდი: TEBAGE22 | სს თი ბი სი ბანკი |
| | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| _____ | _____ |
| **დირექტორი** | დირექტორი |
| **ნოდარ კონცელიძე** | მალხაზ ბერიძე |

Adjara Waste Management Company LLC

Подписано цифровой подписью: Adjara Waste Management Company LLC
Дата: 2023.05.05 13:26:52 +04'00'

| № | | დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|
| CPV1680000 სასოფლო სამეურნეო და სატყეო დანიშნულების მანქანა -დანადგარების ნაწილები | | | | | | |
| 1 | 01742 | სათიბის სტარტერი 2 ზამბარით | ცალი | 25 | 7 | 175.00 |
| 2 | 00466 | სათიბი მანქანის აქსესუარი 23(საცელის ბანკი) | ცალი | 15 | 8 | 120.00 |
| 3 | 00255 | სათიბი მანქანის აქსესუარი კარბურატორი | ცალი | 8 | 16 | 128.00 |
| 4 | 00995 | სათიბი მანქანის ძრავის ნაწილი პოლშინ ცილინდრი | ცალი | 12 | 17 | 204.00 |
| 5 | 01324 | ჯაჭვური ხერხის ნაწილი პლასმასის შუასადები (სალნიკი) | ცალი | 6 | 1 | 6.00 |
| 6 | 01209 | სათიბი მანქანის წინა რედუქტორი | ცალი | 4 | 16 | 64.00 |
| 7 | 00621 | სათიბი მანქანის აქსესუარი 36(უკანა რედუქტორი ) | ცალი | 6 | 15 | 90.00 |
| 8 | 00107 | ჯაჭვური ხერხის ნაწილი ამთები სანთელი | ცალი | 25 | 2 | 50.00 |
| 9 | 00456 | სათიბი მანქანის აქსესუარი 10(შავი კოჭა) | ცალი | 4 | 8 | 32.00 |
| 10 | 01239 | ბენზოცელის ქამარი | ცალი | 4 | 8 | 32.00 |
| 11 | 01000 | სათიბი მანქანის ნაწილი სახელური ჩამთველით | ცალი | 5 | 10 | 50.00 |
| 12 | 01001 | სათიბი მანქანის ნაწილი სახელური | ცალი | 5 | 8 | 40.00 |
| 13 | 01279 | სათიბი მანქანის ნაწილი ლითონის მილი 28 მმ | ცალი | 6 | 12 | 72.00 |
| 14 | 00994 | სათიბი მანქანის ძრავი ვალი | ცალი | 5 | 12 | 60.00 |
| 15 | 00478 | ჯაჭვური ხერხის ნაწილი საწვავის ტუმბო 45(ბენზინის ფილტრი) | ცალი | 30 | 1 | 30.00 |
| 16 | 01222 | სათიბი მანქანის ნაწილი კარდანი | ცალი | 6 | 8 | 48.00 |
| 17 | 00921 | საჭრელი დისკი | ცალი | 10 | 10 | 100.00 |
| 18 | 00993 | სათიბი ძრავის კორპუსი | ცალი | 3 | 15 | 45.00 |
| 19 | 01450 | ბენზოცელის ნაწილი გადაბმულობა(ცეპლენია რკინის) | ცალი | 5 | 5 | 25.00 |
| 20 | 00610 | სათიბი მანქანის აქსესუარი 9(მაგნიტო) | ცალი | 3 | 9 | 27.00 |
| 21 | 01691 | სათიბი მანქანის დამცავი (ფარდუკი) | ცალი | 5 | 10 | 50.00 |
| 22 | 00999 | სათიბი მანქანის ძრავი ტროსის სამაგრი 1 | ცალი | 12 | 8 | 96.00 |
| 23 | 01595 | ხრახნი | ცალი | 10 | 0.8 | 8.00 |
| 24 | 01543 | სათიბის ნაწილი სადგამი | ცალი | 8 | 5 | 40.00 |
| 25 | 01775 | ხრახნი შეკვრაში ცელი | ცალი | 7 | 6 | 42.00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 26 | 01743 | სათიბი მანქანის ნაწილი ტურბინა (შესტი კრანი კლუჩი) | ცალი | 5 | 2 | 10.00 |
| 27 | 01448 | ბენზოცელის ნაწილი საქოქის თეფში | ცალი | 8 | 2 | 16.00 |
| 28 | 01741 | ბალახის საკრეჭის ძუა (520 მ) | ცალი | 1 | 350 | 350.00 |
| 29 | 01675 | შეასადები ჯაშვური ხერხი | ცალი | 6 | 3 | 18.00 |
| 30 | 00107 | ჯაჭვური ხერხის ნაწილი ამთები სანთელი | ცალი | 4 | 2 | 8.00 |
| 31 | 00485 | ჯაჭვური ხერხის ნაწილი კარბურატორი | ცალი | 2 | 15 | 30.00 |
| 32 | 00006 | ჯაჭვური ხერხის ნაწილი (იამა) | ცალი | 2 | 10 | 20.00 |
| 33 | 01551 | ჯაჭვური ხერხის ნაწილი ტანები | ცალი | 2 | 25 | 50.00 |
| 34 | 01095 | ჩობალი | ცალი | 4 | 5 | 20.00 |
| 35 | 01486 | კულტივატორის სტარტერი | ცალი | 1 | 10 | 10.00 |
| 36 | 01107 | **CPV 34352300**<br>მინი ტრაქტორის საბურავი დისკით 500-12 | ცალი | 2 | 100 | 200.00 |
| 37 | 01336 | **CPV 44317000**<br>ლითონის ბაგირი | ცალი | 2 | 10 | 20.00 |
| 38 | 01336 | **CPV 44317000**<br>ლითონის ბაგირი | ცალი | 2 | 10 | 20.00 |
| 39 | 01585 | ზეთი CPV 09200000 | ცალი | 4 | 10 | 40.00 |
| 40 | 01585 | ზეთი CPV 09200000 | ცალი | 2 | 10 | 20.00 |

ჯამი: 2,466.00

მ.შ. დღგ 376.17